

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი
წინასწარი ანგარიში

ზოგადი შენიშვნები

შემოთავაზებული ცვლილებებით ზუსტდება გადაცდომების შინაარსი და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინირების საფუძვლები, რაც შეესაბამება ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის 2014 წლის 14 ოქტომბრის რეკომენდაციას. მეტი სიზუსტე წაადგება მოსამართლეებს, დისციპლინურ ორგანოებს და საზოგადოებას. ჩამოთვლილი საფუძვლები ამომწურავია და როგორც ცვლილებების პროექტის თანმხლებ ჩამონათვალშია მითითებული, მათ მყარი დასაბუთება გააჩნიათ არსებულ საერთაშორისო პრაქტიკაში. ზოგიერთი საფუძველი გადმოტანილია საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსიდან და საქართველოს სხვა კანონმდებლობიდან, ზოგიერთი - არა.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ წესით მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი უნდა შეიცავდეს ყველა იმ ქმედებას, რომლისთვისაც დისციპლინური პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული. ყველაზე თვალშისაცემი ისაა, ჩემი აზრით, რომ ამჟამინდელი მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი არ არეგულირებს დისკვალიფიკაციას (მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პრინციპები 2.3, 2.5 და 4.4), ოჯახური, სოციალური ან სხვა ურთიერთობების მიერ არასათანადო გავლენას მოსამართლის ქცევაზე (ბანგალორის პრინციპები, პრინციპი 4.8), მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟის არასათანადოდ გამოყენებას (ბანგალორის პრინციპები, პრინციპი 4.9) და საჩუქრებს (ბანგალორის პრინციპები, პრინციპები 4.14., 4.15 და 4.16). ეს საკითხები ფუნდამენტური ეთიკური საკითხებია და ამდენად მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში. ის აზრი, რომ შეიძლება არსებობდეს მოსამართლის დისციპლინირების საფუძვლები, რომლებსაც მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს, თავისთავად ეწინააღმდეგება იმ სტანდარტებს, რომელთაც დაცვასაც ვთხოვთ მოსამართლეებს. ამან კი შეიძლება ძირი გამოუთხაროს დისციპლინური სისტემისადმი ნდობას.

განმარტებითი ბარათი და გადაცდომათა ჩამონათვალი, რომელიც თან ერთვის ცვლილებების პროექტს, საკმარისად ამომწურავ განმარტებებს და ინფორმაციას იძლევა შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ, მათ შორის გვთავაზობს მაგალითებს, რა ჩაითვლება ან არ ჩაითვლება დისციპლინირების საფუძვლად. ასეთი ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა და აშშ-ში იგი გვხვდება ან პრეცედენტულ სამართალში ან მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის თანმდევ კომენტარებში. ვინაიდან გარკვეული დრო არის საჭირო, რომ შეიქმნას პრეცედენტები, რომლებიც პრაქტიკაში განსაზღვრავს დისციპლინირების საფუძვლების რაობას, სასურველია ოფიციალურად სადმე დაფიქსირდეს ეს ინფორმაცია. აქ კი საჭირო ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი ორგანო იქნება პასუხისმგებელი ეთიკური სტანდარტების განმარტებაზე, რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადგენად.

კალიფორნიაში მოსამართლეთა ქცევის ზოგიერთი სტანდარტი დადგენილია საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონით. მაგრამ უმრავლესობა მაინც

კალიფორნიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსით განისაზღვრება, რომელიც კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ გამოაქვეყნა 1995 წელს საკონსტიტუციო შესწორების საფუძველზე (1995 წლამდე მოსამართლეთა ეთიკის კოდექსს აქვეყნებდა კალიფორნიის მოსამართლეთა ასოციაცია - მოსამართლეთა პროფესიული გაერთიანება, მაგრამ იმ ძველ კოდექსს სავალდებულო ძალა არ ჰქონდა). გარდა ამისა, კალიფორნიის უზენაესი სასამართლო ის სასამართლო ორგანოა, რომელიც განიხილავს მოსამართლეთა ქცევის კომისიის - დისციპლინური ორგანოს მიერ მოსამართლისთვის შეფარდებულ სანქციას. მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი შედგება პრინციპებისა (ქცევის წესები) და კომენტარებისგან, რომლებიც დამატებით წესებს არ ადგენს, მაგრამ განმარტავს კოდექსით დადგენილ ქცევის წესებს. როდესაც კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს ხელში გადავიდა პროფესიული ქცევის წესების გამოქვეყნების კომპეტენცია, მან შექმნა მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც რჩევას გაუწევდა სასამართლოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის საკითხებზე. კომიტეტი მუდმივ საფუძველზე განიხილავს შესაძლო ცვლილებებს კოდექსში და საამისოდ ორიენტირებად იღებს ცვლილებებს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „მოდელურ სასამართლო ეთიკის კოდექსში“, ცვლილებებს სხვა შტატების ეთიკის კოდექსებში, მოსამართლეთა ქცევის კომისიის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს დისციპლინურ საქმეებზე, სამოსამართლო ეთიკის სფეროში კალიფორნიის ოფიციალური სათათბირო კომიტეტის დასკვნებს ეთიკის საკითხებზე და კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების პროექტებს. სანამ კომიტეტი უზენაეს სასამართლოს წარუდგენს შემოთავაზებულ ცვლილებებს დასამტკიცებლად, ცვლილებები ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის. როდესაც კომიტეტი სასამართლოს სთავაზობს ცვლილების განხორციელებას კოდექსში, ცვლილებების პროექტის დასკვნას თან ერთვის ამ საჯარო განხილვის ანგარიში, რომელშიც მიმოხილულია საზოგადოებისგან მიღებული კომენტარები წარმოდგენილ ცვლილებათა პროექტზე. ვინაიდან კალიფორნიაში მოსამართლეთა ქცევის კომისიის მიერ შეფარდებული დისციპლინური სანქციის განმხილველი ორგანო არის კალიფორნიის უზენაესი სასამართლო, მის მიერ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსისა და მისივე კომენტარების გამოქვეყნება იძლევა სიმეტრიას და საჭირო თანამიმდევრულობას დისციპლინურ პრეცედენტულ სამართალსა და მოსამართლეთა ეთიკის სტანდარტებს შორის.

ჩემი აზრით, მიზანშეწონილია, მოსამართლეთა დისციპლინური საფუძველების სპეციფიკაცია განისაზღვროს პარლამენტის მიერ მიღებული აქტით, რადგან საპარლამენტო პროცესი იძლევა მოსამართლეების, სხვა იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სხვა დაინტერესებული ჯგუფების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ვფიქრობ, უნდა გამოიცეს ასევე ოფიციალური კომენტარები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველებზე, რომლებიც შემუშავდება უზენაესი სასამართლოს ეგიდით, რადგან სწორედ უზენაესი სასამართლოა მოსამართლეთა სადისციპლინო საქმეების განმხილველი საბოლოო ინსტანცია. ისევე, როგორც კალიფორნიაში, კომენტარები შეიძლება შემუშავდეს სასამართლოს სათათბირო კომიტეტის მიერ, რომელშიც შევლენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, დისციპლინური პალატის, მოსამართლეთა კონფერენციის და სხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები.

კომენტარები ცალკეულ ნორმებთან დაკავშირებით

ჩემი აზრით, პროექტით შემოთავაზებული პასუხისმგებლობის საფუძვლები სწორია, ოღონდ ზემოაღნიშნული დათქმებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელზეც არც დისციპლინირების საფუძვლებში და არც მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში საუბარი არაა, გახლავთ საჩუქრების საკითხი. შეიძლება მოსამართლეებისთვის ნივთების ჩუქება რაიმე სხვა აქტივითაა დარეგულირებული, მაგრამ ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური ეთიკური საკითხია, რომელიც ქვეყნების უმრავლესობაში მხოლოდ სისხლის სამართლის რეგულირების სფეროთი არ შემოიფარგლება.

ა) მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა

ეს გადაცდომის ძალიან ფართო განსაზღვრებაა, რადგან უამრავი გზა არსებობს, რითაც შეიძლება შეილახოს მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა ან დარჩეს ასეთი შთაბეჭდილება.

ქვეპუნქტი „ა.ვ“ ითვალისწინებს „არაჯეროვანი ურთიერთობების დამყარებას სამართალწარმოებაში მონაწილე პირებთან“. მე მესმის, რომ ეს ნორმა მიზნად ისახავს საქმეში მონაწილე პირებთან ცალმხრივი ურთიერთობების მოცვას, მაგრამ ტერმინი „არაჯეროვანი ურთიერთობები“ ბუნდოვანია. როგორც ზევით აღვნიშნე, გადაცდომათა ჩამონათვალში მოყვანილი მაგალითები სასარგებლოა, მაგრამ ამ მაგალითების გარეშე ეს ბუნდოვანება გადაულახავი პრობლემა იქნებოდა. ეს ნორმა შეიძლება ძალზე ვიწროც იყო. ასევე, იგი სამართალწარმოების ყველა მონაწილეზე ვრცელდება თუ ამ კონკრეტული მოსამართლის წინაშე ვინც საქმეში გამოდის მხოლოდ იმათზე? ეს დახურული ურთიერთობები იგულისხმება ადვოკატებთან თუ მხოლოდ მხარეებთან? ფორმულირება შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირად: „პირადი კონტაქტის დამყარება ან შენარჩუნება მხარეებთან ან მათ ადვოკატებთან მოსამართლის მიერ მათი საქმის განხილვის პერიოდში, რომელიც ზიანს აყენებს მიუკერძოებლობას ან რომელმაც გონივრულად შეიძლება გამოიწვიოს ფავორიტიზმის ან მიკერძოების ეჭვი ან ასეთი შთაბეჭდილება.“ ასეთი ფორმულირება უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს და ამასთანავე გამოეხმაურება ბანგალორის პრინციპების 4.3 პრინციპს, რომელიც არ გვხვდება საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში.

ბ) მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საჩოთირო თემა მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალში - მცდარი ან სადაო სამართლებრივი გადაწყვეტილებების ამოცნობა, რომლებიც შეიძლება იყოს ან შეიძლება არ იყოს გადაცდომა. წარმოდგენილი ცვლილებები ცდილობს, განსაზღვროს კრიტიკული საზღვრები ისე, რომ არ მოხდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის ან მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების ხელყოფა, მაგრამ ამავედროულად როგორღაც დაარეგულიროს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც არასათანადოდ იქნებოდა მიჩნეული.

მოსამართლის პასუხისმგებლობის ეს საფუძველი ყველაზე მეტად მოითხოვს და აუცილებელიცაა რაიმე ტიპის კომენტარის არსებობა. გადაცდომათა ჩამონათვალი ცდილობს განმარტოს, რომ სამართლებრივი შეცდომა ან მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მხოლოდ მაშინ იქცევა დისციპლინურ გადაცდომად, როდესაც ის თავისი ხასიათით სახელს უტეხს მართლმსაჯულებას, აზიანებს მხარეთა ფუნდამენტურ უფლებებს და გამოხატავს მოსამართლის არაკეთილსინდისიერებას. ჩამონათვალში ასევე ნათქვამია,

რომ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით ყველა მაკვალიფიცირებული კრიტერიუმი - მიყენებული ზიანის ხარისხი, დარღვევის სისტემატურობა, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა და მოსამართლის მოტივი - ყველა ერთად უნდა იყოს სახეზე. გადაცდომათა ჩამონათვალი შეიცავს როგორც იმ ქმედებებს, რომლებიც ჩაითვლება მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად, ასევე იმ ქმედებებს, რომლებიც ასეთად არ ჩაითვლება. ეს სიები ძალიან კარგად წარმოაჩენს და ძალიან სასარგებლოა დისციპლინირების საფუძვლის საზღვრების გასაგებად. კომენტარის სახით დოკუმენტი ასევე შეიცავს რჩევას, რომ სასურველია, დისციპლინური ღონისძიება არ იყოს მოსამართლის პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით მასთან კომუნიკაციის ერთადერთი ფორმა და რომ მნიშვნელოვანია, დისციპლინური ღონისძიების გამოყენებამდე მოსამართლეს მიემართოს გაფრთხილებებით. ეს კომენტარები ძალიან მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა და კარგი გზამკვლევაა. შეიძლება მოგვიანებით პრეცედენტული პრაქტიკით ჩამოყალიბდეს, მაგრამ სამწუხაროა, რომ კომენტარები არ არის სადმე ოფიციალურად ჩამოყალიბებული - ან მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის კომენტარებში ან დისციპლინური სამართალწარმოების კანონში.

გ) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

აქაც, გადაცდომათა ჩამონათვალი შეიცავს სასარგებლო კრიტერიუმებს - რომლებსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო - რის მიხედვითაც განისაზღვრება, რა ჩაითვლება „უსაფუძვლო“ გაჭიანურებად და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. თუ არ მოხდება ამ კრიტერიუმების მიღება ან სადმე სხვაგან ინკორპორირება, შეიძლება შეილახოს ნორმის თანმიმდევრულად გამოყენების პრინციპი.

დ) სამსახურის სისტემატურად გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე; ასევე სასამართლოს სხდომებზე სისტემატური დაგვიანება არასაპატიო მიზეზით

გადაცდომათა ჩამონათვალის თანახმად, მართალია შრომის წესების დარღვევა, როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველი, ამოღებულია კანონმდებლობიდან, ადვოკატები და ალბათ სამართალწარმოების სხვა მონაწილენი კვლავ სერიოზულ პრობლემად აღიქვამენ სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყებას. შემოთავაზებული ცვლილებები დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაგვიანება არის სისტემატური, არასაპატიო მიზეზით და იწვევს სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვან შეფერხებას. გადაცდომათა ჩამონათვალში ნათქვამია, რომ „სისტემატურად“ ჩაითვლება არანაკლებ სამი შემთხვევა, ხოლო სხდომის გაუქმება და დაუყოვნებლივ განსახილველი შუამდგომლობების განუხილველობა ჩაითვლება „სასამართლოს საქმიანობის მნიშვნელოვან შეფერხებად“. აქაც, თუ არ მოხდება ამ კრიტერიუმების მიღება ან დამტკიცება, შეიქმნება ნორმის არათანმიმდევრული გამოყენების საფრთხე.

თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა გადაცდომის განმეორებით ჩადენა, დისციპლინური საპროცესო წესები უნდა იძლეოდეს საჩივრის შენახვის ან ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუ არა და ამ სისტემატურობის დაფიქსირება ვერ მოხდება.

ე) მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა ან მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ კანონის სხვაგვარი დარღვევა

დისციპლინირების ეს საფუძველი ეხება ცალმხრივ კომუნიკაციას მხარესთან და წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ტიპიურ საფუძველს, ვინაიდან ასეთი ქმედება მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენაზე.

აქაც, გადაცდომათა ჩამონათვალი მნიშვნელოვან კრიტერიუმებს ითვალისწინებს არასათანადო კომუნიკაციის დასადგენად - საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის შესახებ კანონის 3(1) მუხლის საფუძველზე - რომ კომუნიკაცია დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან საქმის სავარაუდო შედეგთან და უნდა არღვევდეს სასამართლოს ან მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და შეჯიბრებითობის პრინციპებს. გადაცდომათა ჩამონათვალში დაზუსტებულია, რომ არასათანადო კომუნიკაცია შეიძლება გამოიხატოს მოსამართლის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებით ან მოსამართლის მიერ ინფორმაციის მიღებით. იქვე ჩამოთვლილია სხვადასხვა ტიპის კომუნიკაცია, რომელიც ჩაითვლება აკრძალულად. ასევე განმარტებულია, რომ გადაცდომა დამთავრებულად ითვლება კომუნიკაციის მომენტიდან და თუ მოსამართლე არასათანადო კომუნიკაციით მოთხოვნილ ქმედებას შეასრულებს, ეს შეიძლება ცალკე გადაცდომად დაკვალიფიცირდეს და მოსამართლეს მისთვის ცალკე დაეკისროს პასუხისმგებლობა. ყველა ეს განმარტება მნიშვნელოვანია და ისინი როგორმე უნდა შევინარჩუნოთ.

კალიფორნიაშიც და აშშ-ს შტატების უმრავლესობაში ცალმხრივი კომუნიკაციის აკრძალვა მოიცავს მოსამართლის მიერ მის წარმოებაში მყოფ საქმესთან დაკავშირებით ფაქტების დამოუკიდებლად მოძიების აკრძალვას. ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე, მაგალითად, მცირე დავების შემთხვევაში, მოსამართლეს კანონით აქვს უფლება, ამგვარად მოიძიოს ინფორმაცია. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, რადგან მოსამართლეს მოეთხოვება გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ სამართალწარმოების პროცესში დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსამართლეებს ეკრძალებათ ფაქტობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად, თვითონ მოძიება. ეს პრობლემაა კალიფორნიაში და ამ პრობლემის მასშტაბები იზრდება. ან ნაწილობრივ დამნაშავეა ინტერნეტი და ის გარემოება, რომ ინფორმაციის მოპოვება ძალიან გაადვილდა. ამიტომაც კალიფორნიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 3B(7) პუნქტი ადგენს: „გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მოსამართლეს ეკრძალება დამოუკიდებლად ფაქტების გამოძიება საქმესთან დაკავშირებით. იგი ვალდებულია, იხელმძღვანელოს მხოლოდ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ან იმ ფაქტებით, რომელთა დადასტურებულად მიჩნევა მოხდება მოხდება სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით. ეს აკრძალვა ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერ მედია საშუალებაში, მათ შორის ელექტრონულ საშუალებებში.“ ჩემი აზრით, საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი უნდა შეიცავდეს ასეთივე აკრძალვას, ხოლო მოსამართლის მიერ ფაქტების ცალმხრივად მოძიება უნდა წარმოადგენდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არ არის აღნიშნული, მაგრამ ჩემი აზრით ყურადღებას იმსახურებს, გახლავთ კომუნიკაცია მხარეს ან ადვოკატსა და მოსამართლეს შორის იმ საქმეზე, რომელსაც განიხილავს სხვა მოსამართლე იმავე სასამართლოში. დასაშვებია თუ არა, მოსამართლემ ისაუბროს საქმეზე, რომელიც მისი კოლეგა მოსამართლის

წარმოებაში? დასაშვებია თუ არა ადვოკატისთვის ან მხარისთვის რჩევის მიცემა იმ საქმეზე, რომელსაც კოლეგა მოსამართლე განიხილავს? ეს საკითხი პრობლემად დგას კალიფორნიაში. იგი ძირს უთხრის სასამართლოს მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერებისადმი საზოგადოების რწმენას. როგორც მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა მოიცავდეს კომუნიკაციას მოსამართლესა და სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე მხარეებს, ადვოკატებს, მოწმეებს ან სხვა მონაწილეებს შორის.

ვ) თათბირის საიდუმლოების დარღვევა

გადაცდომათა ჩამონათვალის მიხედვით, თათბირის საიდუმლოების დარღვევა შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ამ სტანდარტს სჭირდება ოფიციალურად დაფიქსირება.

ზ) საჯაროდ აზრის გამოთქმა განსახილველ ან განხილვის პროცესში მყოფ საქმეზე

აქაც, გადაცდომათა ჩამონათვალი იძლევა მნიშვნელოვან განმარტებას, რასაც სჭირდება ოფიციალურად გაფორმება.

თ) მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას

დისციპლინური პასუხისმგებლობის ეს საფუძველი, რომელიც აშშ-სა და ევროპის ბევრ ეთიკის კოდექსში მოიპოვება, ფართო მნიშვნელობის და ზოგიერთის აზრით, ბუნდოვანიცაა. გადაცდომათა დოკუმენტში მოყვანილია ბანგალორის პრინციპებში მითითებული კრიტერიუმები არასათანადო ქმედების შესაფასებლად და ჩამოთვლილია, რომელი ქმედებები ჩაითვლება შეუფერებელ საქციელად იმ შემთხვევაში, თუ რეალურად შეიძლება სასამართლოს ავტორიტეტი ან დაზიანდება სასამართლოსადმი ნდობა. ეს კრიტიკული მნიშვნელობის კრიტერიუმებია და მათი მიღება უნდა მოხდეს რაიმე ფორმატით, იმ ცვლილებებით, რაც საამისოდ საჭირო იქნება.

ი) ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალურ ან საჯარო განცხადებებში

დისციპლინური პასუხისმგებლობის ეს საფუძველი მარტივად გასაგებია და მისი მიზანია სასამართლოს კეთილსინდისიერებისადმი საზოგადოების რწმენის შენარჩუნება. გადაცდომათა ჩამონათვალი მნიშვნელოვან მაკვალიფიცირებელ ნიშანს გვთავაზობს, რომლის მიხედვით ცრუ ინფორმაციად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ არასწორი ფაქტობრივი ინფორმაციის განზრახ გავრცელება. ეს სტანდარტი უნდა შევიდეს პასუხისმგებლობის საფუძვლებში ან აისახოს რაიმე ოფიციალურ კომენტარებში.

კ) სასამართლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის, სამსახურის საზიანოდ

ერთი შეხედვით ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ დისციპლინირების ეს საფუძველი ხშირად გამოიყენება კალიფორნიაში და გულისხმობს ქმედებას, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოების რწმენას სასამართლოს კეთილსინდისიერებისადმი. გადაცდომათა ჩამონათვალში მითითებულია ორი მნიშვნელოვანი განმარტება, კერძოდ, რომ ბოროტად

შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ადამიანური, ასევე, მატერიალური რესურსი და გადაცდომად არ ითვლება სასამართლოს რესურსის უმნიშვნელო გამოყენება. ეს ნორმები საჭიროებს ოფიციალურად გაფორმებას.

ლ) მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება თავისთვის ან სხვისთვის უკანონო ან დაუსაბუთებელი უპირატესობის მისაღებად

დისციპლინური პასუხისმგებლობის ეს საფუძველი ფართოდ გავრცელებული და საფუძვლიანია. აქაც, გადაცდომათა ჩამონათვალი მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა აკრძალვის ფარგლებზე (მაგალითად, თანამდებობის გამოყენება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას) და ასახელებს სასარგებლო მაგალითებს. ესეც ოფიციალურად გაფორმებას საჭიროებს.

მ) კოლეგების, სასამართლოს პერსონალის, პროცესის მონაწილეთა ან სხვა პირთა მიმართ უპატივცემულო, ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დამოკიდებულება, მუქარა, ზეწოლა ან შევიწროება

აკრძალული მოქმედებების ჩამონათვალი სასარგებლო მაგალითებია და მათი დაფიქსირება უნდა მოხდეს ოფიციალურად. გადაცდომათა ჩამონათვალში აღნიშნულია, რომ პროვოცირება შეიძლება შემამსუბუქებელ ფაქტორად ჩაითვალოს. თუ შესაძლებელია, ამასაც ოფიციალური სახე უნდა მიეცეს.

ნ) დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა

აქაც, დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩარევის მაგალითები სასარგებლოა და მათი შენარჩუნება უნდა მოხდეს.

კალიფორნიაში მოსამართლე ვალდებულია, ითანამშრომლოს დისციპლინურ ორგანოსთან, მაგრამ შეუძლია განაცხადოს, რომ სარგებლობს თვითინკრიმინირებისგან თავისუფლებით, თუ მის მიერ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყებას. სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების უმაღლესი ორგანოს გამომახებისას განმარტების მიცემაზე უარი, ცხადია, გარკვეულწილად ძირს უთხრის ამ ორგანოს ავტორიტეტს, განსაკუთრებით თუ მოსამართლის მიერ მისაცემი განმარტება არ ეხება კონკრეტულ საქმეს და აქედან გამომდინარე ვერ შეილახება მოსამართლის დამოუკიდებლობა.

ო) შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა

ეს ნორმა დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვებთან, რომლებიც იწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. გადაცდომათა ჩამონათვალში ჩამოთვლილია სხვადასხვა ქმედება, რომლებიც დისციპლინარული პასუხისმგებლობის ამ საფუძვლის დარღვევას წარმოადგენს და აღნიშნულია, რომ თუ ქმედებისთვის დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იმავე ქმედებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ერთი და იმავე ქმედებისთვის სხვადასხვა სანქციის დაკისრება - ეს უფრო პოლიტიკის საკითხია. თუ მოსამართლე ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომლისთვისაც შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (მაგრამ არა ისეთი დონის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამსახურიდან გათავისუფლება), მაშინ უნდა დაისვას მოსამართლის თანამდებობასთან შესაფერისობის საკითხიც. ჩემი აზრით, ეს საკითხი უნდა განიხილოს დისციპლინურმა ორგანომ ცალკე დისციპლინური საქმის სახით ან შემდგომში, როდესაც განხილული იქნება ამ პიროვნების მოსამართლის თანამდებობასთან შესაფერისობის საკითხი. როგორც აღვნიშნეთ ეს არის პოლიტიკის საკითხი და ვინაიდან იგი გადაჯაჭვულია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან, ამ საკითხზე საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება და გადაცდომის ამ კატეგორიის მაგალითები და განმარტებები უნდა დაფიქსირდეს ოფიციალურად.

ჰ) სასამართლოს მოხელის, მხარის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება

აქაც, გადაცდომათა ჩამონათვალი მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა ტერმინზე „სათანადო რეაგირება“ და უთითებს, რა ზომებს შეიძლება მიმართოს მოსამართლემ, როცა სხვა არღვევს ეთიკის ნორმებს. კალიფორნიაში ეს საკითხი დარეგულირებულია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის კომენტარებში. ამიტომ სადმე ოფიციალურად უნდა დაფიქსირდეს ეს საკითხი.

ჟ) სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაუცველობა, რაც ზიანს აყენებს მოსამართლის ღირსებას და სასამართლოს ავტორიტეტს

ეს გადმოღებულია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოსამართლე ვალდებულია, გააფრთხილოს პროცესის მონაწილენი მოსამართლის მითითებების შესრულების სავალდებულობისა და დარბაზში წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი სანქციების თაობაზე. აქაც, სასურველი იქნება ამ ნორმის დაფიქსირება მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში ან სხვაგან.

რ) პოლიტიკური საქმიანობა, პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრობა, პოლიტიკური შეხედულებების საჯარო გამოხატვა

ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს დისციპლინური დარღვევებს, სასარგებლოა და ისინი უნდა შენარჩუნდეს.

(ს) გაფიცვა ან გაფიცვისკენ მოწოდება

ჩემთვის უცნობია დისციპლინური პასუხისმგებლობის ეს საფუძველი ან რამდენად საჭიროა მისი არსებობა. ხშირად მაღალი თანამდებობის პირებს და პროფესიულ მუშაკებს კონტრაქტით ან კანონით ეკრძალებათ გაფიცვა, თუ მათი მომსახურების შეფერხება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საზოგადოებრივ წესრიგზე. თუ აქ ეს იგულისხმება, მაშინ დისციპლინური პასუხისმგებლობის ამ საფუძველს შეიძლება ჰქონდეს გამართლება.